ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3722467

ნომერი: AR1561709

თარიღი : 30.11.2017

გაცემის თარიღი : 07.12.2017

გაცნობის თარიღი : 07.12.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N12 / ლუბლიანას ქუჩა N66;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ გადაბაძე პ/ნ 01025012422
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 20 ბ. 18

ორგანიზაცია:

- შპს ჯი ეკო კოდი: 405237408

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 01.13.01.015.101) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით მდებარეობს სპეციალურ ზონა - 1 ში. სპეცზ-1 – დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნულ ქვეზონაში შესაძლებელია კონკრეტულად მასში დასაშვები ობიექტების განვითარება და თქვენს შემთხვევაში, ავტოსამრეცხაო შესაძლებელია მოეწყოს, მხოლოდ როგორც, ძირითადი ობიექტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი დამხმარე ნაგებობა. ასევე მსგავსი ობიექტის მოწყობა სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მხოლოდ ტერიტორიის სიღრმეში და არა ქუჩისპირა არეალში, ძირითადად კომერციული მიზნებისთვის.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.